# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060169903386214

## ბრძანება No-458

ქ. თბილისი

**01 / აგვისტო / 2014 წ.**

### სს „სარინი"-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლის, ასევე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლისა და ამავე კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს სს „სარინი"–ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარზე (ქ.რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. №9.);
2. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყვებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
4. ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „სარინი"–ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „სარინი"–ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში, (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი და სს „სარინი"–ს (31.07.2014 წ.) განცხადება.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო
ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი

საქართველო, 380062 თბილისი, ფალიაშვილის ქ. 87. ტელ: 29-41-24; ფაქსი: 25-31-57

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

# დასკვნა პროექტზე

№ 2

"28" იანვარი 1999წ.

## 1. საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება — ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარი (გარემოზე ზემოქმედების შეფასება)

2. პროექტის სტადია — მუშა პროექტი

3. პროექტი შედგენილია — ს.ს. "სარინის" მიერ

4. ობიექტის ადგილმდებარეობა — ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. №9. (სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის ტერიტორია)

5. დამკვეთი — ს.ს. "სარინი"

6. პროექტი წარმოდგენილია — ს.ს. "სარინი"-ს მიერ

7. საპროექტო მასალები მიღებულია — 25. 01. 1999წ.

## II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

სააქციო საზოგადოება ''სარინი''-ს მიერ სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. რუსთავის სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის ტერიტორიზე განთავსებული ''ნავთობის და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარის'' მუშა პროექტი.

სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის ტერიტორიის ფართობია 3,4 ჰა, რომლის დასავლეთ ნაწილშია განთავსებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების გაუვნებელყოფის დანადგარი. აღნიშნული ტერიტორიის ირგვლივ, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ასევე მოსახლეობა არ არის განთავსებული.

დანადგარის დამონტაჟების აუცილებლობა გამოიწვია საქართველოს ტერიტორიაზე ჯეიჰან-სუფსის საექსპორტო მილსადენის რეაბილიტაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ან გადამუშავების აუცილებლობამ. აღნიშნულის გარდა მოსალოდნელია ტერმინალის სარეზერვუარო პარკის გეგმური გაწმენდის დროს ნავთობშლამებისა და პარაფინების წარმოქმნა, რომელთა გადამუშავება ან განთავსებაც ასევე საჭირო იქნება.

წარმოდგენილ პროექტში დამუშავებულია:

- ატმოსფერული ჰაერის დაცვა ნავთობისა და ნვათობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარიდან გაფრქვეული მავნე კომპონენტებისაგან;
- ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შემცირების ღონისძიებები.

პროექტის მიხედვით ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარიდან გამოფრქვევები არ იწვევს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას სანიტარულ ნორმებზე გადაჭარბებით (პროგრამა ''ეკოლოგით'' შესრულებული მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გაბნევის ანგარიშის მიხედვით).

## III. შენიშვნები

გასაუვნებელ მასალაში, გოგირდის შესაძლო შემცველობის გათვალისწინებით, ნამწვი პროდუქტების გამტარი მილის სიმაღლედ მიღებული იქნას არა ნაკლებ 18 მეტრისა.

# IV. დასკვნა

სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე ს.ს. "სარინი"-ს მიერ წარმოდგენილი ქ. რუსთავის სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის ტერიტორიზე განთავსებული "ნავთობის და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარის" პროექტისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, დანადგარის გამოყენება ნავთობშლამებისა და სხვა ნავთობშემცველი ნარჩენების გადასამუშავებლად შესაძლებელია.

ექსპერტები: 1. [signature] (მაკაროვა მ.)
2. [signature] (ქარჩავა ნ.)
3. [signature] (ფხაკაძე ს.)

ბ. ა.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის თავმჯდომარე (მოადგილე): [signature]

განყოფილების უფროსი (მთ. სპეციალისტი): [signature]

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის მინისტრს

ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილს

ს/ს საზოგადოება სარინი-ს დირექტორის

იუზა ჩუბინიძის

# განცხადება

1999 წლის 22 იანვარს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ს.ს „სარინი"-ს ქ. რუსთავის სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებულ „ნავთობისა და ნავთობ პროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუნებელყოფის დანადგარზე" გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #2.

გთხოვთ გასცეთ გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა.

პატივისცემით,

ს.ს „სარინი"-ს დირექტორი /ი. ჩუბინიძე/

31/07/2014 წ.

599 50 49 48

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 1108
"31" 07 2014 წ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000102

კოდი MD1 „01“ „08“ 2014

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი სს „სახინი“

2. საქმიანობის მიზანი ნავთობის და ნავთობპროდუქტების შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარი

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №9

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია სს „სახინი“

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №2. 28.01.1999.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის უფროსი
თამარ ჩაჩაძე

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +“
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034